

„ლიტერატურა“
საქმე 93 ს. 25
1967

ზღვის მწერალი



„ანდრო ლომიძე, როგორც ზღვის-პირეთის ყოფილი მცხოვრები და მეზღვაური, უმეტესად საზღვაოსნო თემებზე წერს და მას ბევრი საინტერესო მოთხრობა აქვს ამ თემაზე. ეს მოთხრობები სხვადასხვა ხასიათისაა, ზოგი მათგანი უბრალო ლირიკულ ამოკლებადაა წარმოდგენილი, როგორც, მაგალითად, მინიატურები „მე და მამა“, „ორმოცდაათი წელი“, ზოგი რომანტიკულ მოგონებას, როგორც, მაგალითად, „უკვდავი ნათელი“; ა. ლომიძე უკვე სავსებით ჩამოყალიბებული მწერალია თავისი წერის მანერით, სტილითა და მსოფლმხედველობით. მის მოთხრობებში ბევრია კარგი და საყურადღებო. ეს მწერალი ქართული მათინისტური პროზის ფუძემდებელია“, — წერდა ამ რამდენიმე წლის წინათ აკაკი ბელიაშვილი.

ამ სიტყვებით ა. ბელიაშვილმა ზედმიწევნით ზუსტად დახასიათა ა. ლომიძის პროზის თავისებურებანი.

კოლხეთის ზეცას, მცხუნვარე მზითა და ზღვის მარლით გაქდენილ მტკიცე ნებისყოფის ადაშიანებს ანდრო ლომიძის სახით თანადროულ ქართულ პროზაში თავისი მეზობლები, ბოლომდე ერთგული და მოსიყვარული მხატვარი გაუჩნდათ: ანდრო ლომიძე მწერლობაში ზღვისპირეთიდან მეზღვაურთა ცხოვრების გამოცდალებითა და შთაბეჭდილებებით დატვირთული მოვიდა. იგი მხოლოდ იმაზე წერს, რაც უნახავს, თავს გარდახედიან ან განუცდია. ეს კი მის ნაწარმოებებს მხატვრული უშუალობის ძალას ანიჭებს.

ა. ლომიძის პირველი მოთხრობა „სიცილიტა“ 1940 წელს გამოქვეყნდა „ლიტერატურულ გაზეთში“. ლომიძის შთაბეჭდილებები, ზღვიდან მომდინარე ნიაგის გამახალისებელი ბუნებრივით მწერალმა იმავეთვე მი-

იპყრო მკითხველი საზოგადოების ყურადღება. ამ მოთხრობაში მან ერთი შეხედვით ნაცნობი სიუჟეტი მშვენიერ მხატვრულ სამოსელში გაახვია. ამის შემდეგ საკმაოდ დრომ განვლო და ეს საფუძველი ერთხელაც არ შერყეულა. სამოც წელს მიღწეული ა. ლომიძე დღესაც ჩუმად და უპოეტენზიოდ განაგრძობს ლიტერატურულ მოღვაწეობას.

ამ ბოლო წლებში ანდრო ლომიძემ დაწერა ვრცელი მოთხრობა „გური და იამზე“. ჩვენი აზრით, ეს ფრიად საყურადღებო ნაწარმოებია ანდრო ლომიძის შემოქმედებაში. იმასთან ერთად, რომ მისთვის საყვარელ გარემოსა და ადამიანებს ოსტატურად აგვიწერს, პროზაიკოსი ზღვის თემისადმი ქართული მწერლობის დამოკიდებულების საკითხსაც ეხება. ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი გური ლომია მეტად საინტერესო პიროვნებაა. ამ შემთხვევაში ავტორი ხასიათის ჩამოქნის ოსტატობას ამჟღავნებს. გურის პირით მწერალი თავის სათქმელს გვიუბნება. იგი დამაჯერებლად მაგწერლობაში მწერლობაში ზღვის თემის საკითხებზე. ჩვენ ვგრძობთ, რომ გურის პირით პროზაიკოსი თავის გულს ნაღებს გვიზიარებს, თავს შინაგან მოწოდებას და იმ ესთეტურ მრწამსს ამჟღავნებს, რომლითაც ქართულ მწერლობაში მოვიდა. ა. ლომიძე პოინციპულად იცავს მოსახრებას, რომლის მიხედვით ყოველი ჰუმანიტარული მწერლისათვის იავეი აუცილებელია გამოსახვის ობიექტის საფუძვლიანი ცოდნა, როგორც შემოქმედებითი ნიჭი, ტალანტი.

ამ მხრივ, ზღვისა და მეზღვაურის ცხოვრების ცოდნით, მათი ლხინაა თუ სატანჯველის სრულყოფილი ასახვით ანდრო ლომიძეს საპატიო ადგილი უჭირავს ჩვენს მწერლობაში.

ყოველივე ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ა. ლომიძის შემოქმედება მხოლოდ ზღვის თემატიკით იყოს შემოფარგლული. არანაკლები ინტერესით იკითხება ნადირობისა და სამამულლო ომის თემებზე დაწერილი მოთხრობები ა. ლომიძისა, ასევე საყურადღებოა ბავშვებისათვის გააკეთებული ნაწარმოებები. საერთოდ, თავის შემოქმედებითს პრაქტიკაში მწერალი ხელმძღვანელობს პოინციპით — დაწეროს ცოტა, მაგრამ კარგი. ამ ასპექტით მის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა ოსტატობის თანდათანობითი სრულყოფისა და ნაწარმოებების იდეურ-ესთეტიკური ღირებულების ამაღლებისათვის ბრძოლის საინტერესო გზად გვესახება. მართალია, ანდრო ლომიძეს ამ გზაზე არასოდეს გაუვიწყრებიათ სქელტანიანი ნაწარმოებებით, მაგრამ ხშირად მოუხიბლივართ ლაკონიზმით, გამოკვეთილი სახეებითა და აზრის სიცხადით.

რიშებაც, რომლის შედეგები წარმოდგენილია „შინაარსში“ (გვ. 1-16). ლექსიკონიდან შეიძლება ამოვკრიბოთ ცნობები სიტყვათა ბოლოკიდური ასოების (ბგერების) ხმარების სიხშირის შესახებაც. მაგალითად, ანით ბოლოვდება 24691 ერთეული, ბანით — 21537, განით 528 დონით — 5683 ერთეული და ა. შ. ყველაზე იშვიათად (სულ 25-ჯერ) სიტყვის დაბოლოებად გვხვდება ჰაე. ასეთ ზუსტ ცნობებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ენის სტატისტიკური ანალიზისათვის.

ინვერსიული ლექსიკონი დახმარებას გაუწევს ენის მასწავლებლებსაც, რადგან იგი საშუალებას იძლევა სწრაფად შევარჩიოთ საილუსტრაციო მასალა გრამატიკის საკითხების სწავლებისას. მაგალითად, -ოსან სუფიქსის სწავლებისას მასწავლებელს ლექსიკონის 369-ე გვერდზე შეუძლია მონახოს ამ სუფიქსით ნაწარმოები ყველა სიტყვა: თაოსანი, ნაოსანი, ტყაოსანი, შაოსანი, ჯიჯლიბოსანი, კობოსანი, შუბოსანი, ნიღბოსანი, ნიჩბოსანი, ჭარმაგოსანი, დაზგოსანი, თანრიგოსანი, ბარგოსანი, კარგოსანი, ხელარგოსანი, ფრიადოსანი, ჯადოსანი, ნაბდოსანი და ა. შ. — 100-ზე მეტი სიტყვა, მათ შორის იშვიათად ხმარებული სიტყვები, როგორცაა ხმოსანი, ჩინოსანი, ქმროსანი, ჯილოსანი და ა. შ. ამის შემდეგ საილუსტრაციო მასალის მონახვა ძნელი არ არის ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში. მასწავლებელს შეუძლია -ოსან სუფიქსიან სიტყვებს შეუპირისპიროს ისეთი სიტყვები, რომლებსაც ოსან დაბოლოება აქვთ, მაგრამ იქ ეს ოსან სუფიქსი კი არ არის, არა-

მედ ძირისეულია (მგოსანი, კრიალოსანი, სოსანი...).

ამ ტიპის ლექსიკონს სიტყვის მნიშვნელობის განმარტება არ მოეთხოვება. იგი მხოლოდ ინდექსია, სიაა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მოთავსებული სალექსიკონო ერთეულებისა. ცხადია, ბევრ შემთხვევაში, ხოლო ზოგჯერ აუცილებლად, საჭიროა ეს ლექსიკონი გამოვიყენოთ განმარტებით ლექსიკონებთან ერთად. მაგალითად, თუ გვინდა შევამოწმოთ რომელიმე სიტყვის რეალური არსებობა ან დავაზუსტოთ, რამდენად სწორად გვესმის მისი მნიშვნელობა, აუცილებელია განმარტებით ლექსიკონში ჩვენთვის საინტერესო სიტყვის მონახვა და ამომწურავ ცნობებს იქ ვიპოვიოთ.

ინვერსიული ლექსიკონი ერთგვარ დახმარებას გაუწევს ქართული რითმის საკითხებით დაინტერესებულ პირთაც.

წინასიტყვაობაში, რომლის ავტორია ბიძინა ფოჩხუა, გაშუქებულია ამ სახის ლექსიკონთა დანიშნულება, ქართული ენის ინვერსიული ლექსიკონის შედგენის პრინციპები, აგებულია და გამოყენების წესები.

ლექსიკონი შედგენილია ბ. ფოჩხუას ხელმძღვანელობით. რედაქტორები არიან ბ. ფოჩხუა და მ. ჭაბაშვილი.

ინვერსიული ლექსიკონის გამოსვლა ერთხელ კიდევ ნათელყოფს, თუ რა სახის დიდმნიშვნელოვანი სამუშაოები შეიძლება შესრულდეს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ბაზაზე.

ბ. შალამაზიძე

წერდა გამოჩენილი რუსი მწერალი იური ნაგინი: „საინტერესო ნოველისტის — ანდროლომიძის სანუკვარი თემებია — ზღვა, ნადირობა, თევზაობა, მშობლიური ქვეყნის ბუნება.

იგი წერს იმის შესახებ, რაც ღრმად და ყოველმხრივ აქვს შესწავლილი. ამიტომ მისი მოთხრობების წიგნი ბევრ ახალს აუწყებს მკითხველს ადამიანებსა და ბუნებაზე“.

აკაკი თოფურია

ქართული ენის ინვერსიული ლექსიკონი

ოთხი წლის წინათ დასრულდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულის გამოცემა, რაც ღირსშესანიშნავი მოკლენა იყო ჩვენი ხალხის კულტურის ისტორიაში. ლექსიკონის გამოსვლამ ფართო გამოხმაურება პოვა და ეს კაპიტალური ნაშრომი ქართველი ხალხის საუნჯეში შევიდა როგორც უძვირფასესი განძი. ლექსიკონში გამოვლინებული და ასახულია ქართული ენის ლექსიკური შემადგენლობა, მოცემულია მისი გრამატიკული და სემანტიკური დახასიათება. განმარტებებს ახლავს დოკუმენტაცია, რაც აადვილებს სიტყვის მნიშვნელობის გაგებას.

ამ ლექსიკონის დანიშნულება სცილდება სიტყვის განმარტების ამოცანას, მისი გამოყენების შესაძლებლობანი ფართო და მრავალმხრივია.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის საფუძველზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ინჟინერ-მკვლევარმა, ამავე ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერებისა და ლექსიკოლოგიის განყოფილებათა თაოსნობით, შეადგინეს და გამომცემლობა „მეცნიერება“ 1967 წლის მიწურულს გამოუშვა ქართული ენის ინვერსიული ლექსიკონი.

ინვერსიულს (შებრუნებულს) უწოდებენ ასეთ ლექსიკონს, რომელშიც სიტყვები დალაგებულია ანბანზე მათი ბოლოკიდური ასოების მიხედვით, მაგალითად, ასე: ვინიცობა... ბაბა, დაბა... ბაგა... ჯაგლაგა... და, ლაბა... ნაბადა... აბოგვა, იდეა... ვა, ავა, გავა, დავა და ა. შ. ასეთი დალაგება წარმოაჩენს ქართული სიტყვების მნიშვნელოვან ბგერითსა და რამატიკულ თავისებურებებს.

ქართული ენის ასეთი ლექსიკონი დღემდე არ გვქონია.

რა ღირებულება აქვს ინვერსიულ ლექსიკონს?

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს მისი მეცნიერული მნიშვნელობა. ჯერ ერთი, იგი აადვილებს ტექსტზე ფილოლოგიურ მუშაობას მაგალითად, დაგვეხმარება ხელნაწერთა და-

ზიანებული ადგილების აღდგენაში...), რაკი ლექსიკონში სიტყვათა ერთგვარი დაბოლოებანი ერთად არის თავმოყრილი, ხელსაყრელი პირობები იქმნება მათი ანალიზისათვის, მით უმეტეს, სუფიქსაცია ქართულ სიტყვაწარმოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ლექსიკონის მეშვეობით ადვილდება დავადგინოთ ამა თუ იმ სუფიქსის გავრცელებულობა ანუ მისი ხმარების სიხშირე, მაგალითად, ლექსიკონში შეტანილია ისტ ბოლოკიდურიანი 260-ზე მეტი ფუძე, მაგრამ ამთგან ოთხიოდე სიტყვაში (გვირისტი, ქისტე, ყისტე, ხისტე...) არ გამოიყოფა იგი, როგორც სუფიქსი, ყველა სხვა შემთხვევაში კი უცხოური სიტყვათმწარმოებელი სუფიქსია და მხოლოდ უცხოური სიტყვებთანვე გვხვდება, არც ერთი შემთხვევა არ არის ქართულ ფუძეებთან ხმარებისა. საინტერესოა ქართული -ედ სუფიქსის გავრცელებულობის საკითხიც. ინვერსიული ლექსიკონის მიხედვით ირკვევა, რომ ამ სუფიქსით ნაწარმოებია სიტყვები: მორბედი (წინამორბედი...), ყბედი, კუდედი, ვარსკვლავედი, კარვედი, ფესვედი, ფრთედი, თვალედი, მრჩობლედი, ყვავილედი, წლედი (ათწლედი, შვიდწლედი, ხუთწლედი...), მოქმედი, განედი, თაროედი, ჯვრედი, ცალკარედი, კამარედი, ყურედი, ფიცრედი, წრედი, უჯრედი, თალედი, გრძედი, ფეხედი; კუთხედი, ჩონჩხედი და სხვ. — სულ 4 ათეულამდე სიტყვა.

ასევე შეგვიძლია ეს ლექსიკონი გამოვიყენოთ პრეფიქსაციის ცალკეული საკითხების შესასწავლად. სხვადასხვა ზმნისწინიანი ფორმების შეპირისპირებით შესაძლებლობა იქმნება დავადგინოთ ძირებისა და ზმნისწინების მნიშვნელობანი და მათი ურთიერთმიმართება. მაგალითად, წვაკვს: აწვაკვს, გაწვაკვს, დაწვაკვს, გადაწვაკვს, ჩაწვაკვს, შეწვაკვს, მოწვაკვს, ამოწვაკვს, გამოწვაკვს, შემოწვაკვს... არ გავვიძინებოთ გავიგოთ აგრეთვე ქცევის ფორმითა წარმოების შესაძლებლობანი (რომელი ქცევის ფორმის წარმოება შეუძლია ზმნის დარომლისა — არა). ყველა ასეთი ფორმა ლექსიკონში ერთად არის თავმოყრილი, ოღონდ სიტყვათა შებრუნებული დალაგებით.

ქართული ლექსიკონის ფონეტიკურ-გრამატიკულ დახასიათებას ემსახურება ერთგვარდაბოლოებანი სიტყვათა რაოდენობის დაანგა-

„ინვერსიული ლექსიკონი“, „მეცნიერება“, 1967.

ნიუნებო პიპონი

ზღვის მწერალი

კოლხეთის ლაქვარდოვან ზეცას, შავი ზღვისპირის ერთ-ერთ უძველეს და ულამაზეს სანავსადგურო ქალაქ ფოთს და მის მთელ შემოგარენს, ქვიშნარ სანაპიროებთან შუდამ მოლივლივე ზღვის ლურჯ ტალღებს ანდრო ლომიძის სახით ქართულ თანამედროვე მწერლობაში თავისი მეხოტბე, ბოლომდე ერთგული და მოსიყვარულე მხატვარი გაუჩნდა. ცნობილია, რომ მწერლის შემოქმედებაში მშობლიური მხარის ადრინდელი შთაბეჭდილებები მუდამ არის შთაგონების დაუშრეტელი წყარო. ეს თავისებურ, მკაფიო გამოხატულებას პოულობს ანდრო ლომიძის შემოქმედებითს პრაქტიკაშიც.

ყველა ის საუკეთესო ნაწარმოები, რომლებიც შეუქმნია მწერალს ზღვისა და ნადირობის თემაზე, გამოსახვის ადგილის, პეიზაჟური ფერადებისა და დამახასიათებელი კოლორიტულობის მიხედვით მოქცეულია თითქმის ერთ გეოგრაფიულ „გარემოცვაში“ — კოლხეთის ზღვისპირა ზონაში, სადაც ოდესღაც ქობეზით დაფარული მიწები ახლა ფორთოხლები-სა და მანდარინების, ევკალიპტებისა და მაგნოლიების ბღნარებით არის დაფარული.

აი საქართველოს ამ მხარის მძიმე წარსული და დიდებული აწმყო, ბობოქარი ზღვის მრისხანება და მეზღვაურის საბედისწერო ფათეურაკები, ახალი კოლხეთის მშენებელი ადამიანების სუნთქვა და მისწრფებანი, ნადირობისადმი ტრფიალი და მონადირის დაუოკებელი, ბუნების სტიქიისაგან გაუტეხელი სურვილები, სამამულო ომის კეჭა-ქუხილის ეჭო და სამშობლოს გმირ დამცველთა პატრიოტული სულისკვეთება, უხეში, ტლანქი, ბოჰემური მიდრეკილების ხასიათები და ნატიფი სინაზით აღსავსე ქალის იღუმალი გრძნობები, სიცოცხლის მარადისობაზე ფიქრი და სიკვდილის ლანდებთან ლიცლიცი — ყოველივე და ყველაფერი ეს, კონტრასტებსა და შტრახებში გახვეული, შეადგენს ანდრო ლომიძის, როგორც ბელეტრისტის, გამოსახვის ძირითად საგანს, მისი შემოქმედებითი გზის ძირითად განმსაზღვრელ ნიშნებს. ეს გზა და ნიშნები მთელი

თავისი სრულყოფილობით ნათლად გამოვლინდა გასულ წელს გამოცემულ სქელტანიან წიგნში „სიყვარული“.

ამ წიგნში შესული მოთხრობა „სიცოცხლე“ პირველად 1940 წელს გამოქვეყნდა „ლიტერატურულ გაზეთში“. აქედან იწყება ა. ლომიძის შემოქმედებითი ბიოგრაფია. დასახლებულმა მოთხრობამ იმთავითვე მიიპყრო მკითხველი საზოგადოების ყურადღება არა თემის უჩვეულო სიახლით, არამედ თხრობის დინამიკურობითა და სიტყვიერი ინვენტარის ოსტატური გამოყენებით, მასალის ფილოსოფიური გააზრებითა და რაღაც თავისებური, ზღვიდან მონაბერი ნიავის გამახალისებელი ქროლვით. ერთი შეხედვით ნაცნობი სიუჟეტი — იქ, სადაც თავდება ერთის სიცოცხლე, ბუნებაში იწყება მეორის არსებობა და ამაშია სიცოცხლის უცნაურობა და უსასრულობა — მწერალმა გახვია მიმზიდველ მხატვრულ სამოსელში და ამით თავის პირველ გამოჩენას ლიტერატურულ სარბიელზე საიმედო, მყარი, საფუძველი შეუქმნა.

სარეცენზიო წიგნს წინ უძღვის ავტობიოგრაფიული ჩანახატი „ჩემი ცხოვრება“. ამ ჩანახატიდან უპირველესად ჩვენთვის მნიშვნელოვანი და საყურადღებო არის ის, რომ ა. ლომიძე მწერლობაში თავიდანვე მოვიდა უშუალოდ ცხოვრებიდან, გარკვეული გამოცდილებებითა და შთაბეჭდილებებით დატვირთული და მხოლოდ იმის გარშემო წერს და მოგვითხრობს, რაც თვითონ უნახავს, გადახდენია ან განუცდია. ეს ანიჭებს მის ნაწარმოებებს რეალისტურობის დიდ ძალას. მისი გმირები ჩვენს ცნობიერებაში შემოდიან, როგორც უბრალო, ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანები, რომელთა სამოქმედო ასპარეზი მეტწილად თითქმის ერთი და იგივეა — ზღვა, გემი, ნავსადგური, ან კიდევ, ტყე, ტბისპირი, ლაქაშოვანი მინდვრები, — მაგრამ რომელთა ხასიათი და შინაგანი ბუნება ყოველთვის კოლორიტული, ერთმანეთისაგან განსხვავებული და თავისებურია.

ზემოაღნიშნულ ავტობიოგრაფიას მწერალი ამთავრებს ასეთი პათეტიკური სიტყვებით: „ახლა, როცა მძიმე სნეულებამ ინვალიდად მაქცია და დრომ თავისი წარუშლელი დადი დამასვა, ხშირად მესიზმრება ფოთი, ჩემი ეზო,

1 ანდრო ლომიძე, „სიყვარული“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1967.

ზღვა. აღეგებულსა და თვალცრემლიანს მე-
ღვიძება. ისევ და ისევ ძალუმად მიხმობს, თა-
ვისკენ მეძახის, ზღვა, ჩემი ფოთი და ჩემი ლა-
ზეთი“.

ასეთი ბიოგრაფიის მქონე მწერალს არ შეი-
ძლებოდა ისე განუზომლად არ შეყვარებოდა
ზღვის ტალღებთან მებრძოლი ადამიანი, სიკე-
ოე და სიცოცხლე, როგორც ეს ა. ლომიძის
ნაწარმოებებში ჩანს. მას არ სჭირდება რაიმეს
ხელოვნური გამოგონება. მისი ნაწარმოებების
თითქმის ყოველ პერსონაჟს ცხოვრებაში თა-
ვისი ცოცხალი, რეალური პროტოტიპი ჰყავს,
თითოეული მათგანი მისი საკუთარი სულის
ნაწილია ან მთლიანი ავტობიოგრაფიული სუ-
რათი ხან თეიმურაზის („გორიზი“), ხან გურის
(„სიყვარული“), ხან კიდევ თამაზის („უკვდავი
ნათელი“) სახით ამეტყველებული და განსა-
ხიერებული.

მეტად თვალსაჩინოდ იგრძნობა მსგავსება
ამ მხრივ ავტობიოგრაფიულ მომენტებსა და
1957 წელს დაწერილ ნოველაში „უკვდავი
ნათელი“ თამაზის სულიერ აღსარებას შორის.
„ჩემი ბოჰემური ცხოვრება სულს უწამლავ-
და დედას. — ჰყვება თამაზი — მემუდარე-
ბოდა — მიატოვე ფოთიო. ზღვისპირას დავი-
ბადე, ტანი ავიყარე, მერე რამდენიმე წელი
დავყავი თბილისში და გავეწამე. მცხუნვარე
მზითა და ზღვის მარლით გაქლენთილ ჩემს
მკვრივ სხეულს ზღვის მშფოთვარე სული გა-
მოჰყვა და იგი ძალუმად მიიღტვოდა ტალღე-
ბისაკენ, საიდუმლოებით მოცული ლურჯი
უსასრულობისაკენ“.

აი სწორედ ამ „ლურჯი უსასრულობის“ საი-
დუმლოებათა შეცნობას, „მცხუნვარე მზითა
და ზღვის მარლით გაქლენთილი“ ადამიანების
რკინისებური ნებისყოფის, მათი ახირებული
ქცევებისა და ტლანქი ხასიათების, განცდები-
სა და გრძნობების, მეგობრობისა და სიყვა-
რულის მხატვრულ ჩვენებას, გამოკვეთას და
გამოსახვას შეაღია ა. ლომიძემ უმთავრესად
თავისი ნიჭი და ძალღონე, ამით გაითქვა და
დაიმკვიდრა ზღვის მწერლის, „ქართული მა-
რინისტული პროზის ფუძემდებლის“ (ა. ბე-
ლიაშვილი) უწყინარი და უპრეტენზიო სახელი.

შემთხვევითი როდია, რომ თავის ერთ-ერთ
უკანასკნელ, შედარებით საკმაოდ მოზრდილ
მოთხრობაში „სიყვარული“ იგი პირდაპირ ეხე-
ბა ზღვის თემისადმი მწერლობის დამოკიდე-
ბულების საკითხს და ესთეტიკური ხასიათის
აქტუალურ პრობლემას აყენებს. მაგრამ სანამ
ამ პრობლემას შევეხებოდეთ, საჭიროა მოკ-
ლედ გავცნოთ თვით ნაწარმოების სიუჟეტს.

მოთხრობის მთავარი გმირი ახალგაზრდა,
ფიცხი და გულადი გური ლომია თბომავალ
„საქართველოზე“ ნაოსნად მუშაობს. როგორც
ყოველ მეზღვაურს, მასაც უყვარს არყის სმა,
მაგრამ გემზე მორიგეობის დროს თავის მო-

ვალეობას ყოველთვის პირნათლად ასრულებს,
გამოფხიზლების შემდეგ სიმთვრალეში ჩადე-
ნილ არასასიამოვნო მოქმედებებს მუდამ ინა-
ნიებს და ცდილობს გემის კაპიტნის გარსევან
შენგელიას ნდობა და დაფასება დაიმსახუროს.
მაგრამ ამას ყოველთვის ვერ ახერხებს და კა-
პიტანსა და მეზღვაურს შორის ჩუმი წინააღ-
მდეგობა ნელ-ნელა ღვივდება.

ამას ხელს უწყობს ერთი ჩვეულებრივი,
ცხოვრებისეული მოვლენა. გურის წრფელი
გრძნობით უყვარს გემის ექიმი ქალი იამზე,
თოიძე, მაგრამ ამ სიყვარულს გულში იკლავს
და ვერ უმელავნებს. ამავე დროს გემის კაპიტა-
ნი, მარტოხელა, საშუალო ხნის კაცი, სარგებ-
ლობს თავისი პრივილეგიური მდგომარეობით
და იამზესთან ატარებს მეტწილად თავისუფალ
დროს, ლამობს დაისაკუთროს მისი გული. ეს
გარემოება გური ლომიაში ექვებს ავითარებს
და კიდევ უფრო ამძაფრებს ურთიერთდამოკი-
დებულებას უფროსს და ხელქვეითს შორის.
გურის ერთადერთი თანამგრძნობელი და მესა-
იღუმლე გემზე მისებრ ნაოსანი, დაბალი ტა-
ნის ანატოლ უდოვიჩენკოა, რომელთანაც ის
სპეტაკი მეგობრული გრძნობით არის დაკავში-
რებული. ანატოლის მეშვეობით გური გემუ-
ლობს მის შესახებ იამზეს ფარულ აზრებს,
თანდათან ხელს იღებს ბოჰემური ცხოვრები-
საგან, წიგნების კითხვით ადრე გატაცებული
თავის ძალას მოთხრობების წერაში ცდის და
ამ გზით იამზესთან დამაახლოებელ, მასთან მი-
სასვლელ ნიადაგს ამზადებს.

იამზეს აოცებს გურის უცნაური ბუნება —
ცალ ხელში წიგნი უჭირავს, მეორე კი მუდამ
მომარჯვებული აქვს სხვისთვის გასარტყმე-
ლად — ფიქრობს ის და მისი ბუნების შეცნობას
ცდილობს. მას ხიბლავს გურის ნაკითხობა,
ცხოვრებისეული მოვლენების სწორი, დაკვირ-
ვებული განსჯა, მაგრამ არ მოსწონს გურის
ნაყვავილარი სახე. გური თითქმის გრძნობს
ამას და ყოველთვის ფრიდება იამზესთან დაახ-
ლოებას, პირისპირ დგომას და გაბმულ ლა-
პარაკს.

მაგრამ ერთ დღეს ღია, წყნარ ზღვაში გა-
სული გემის გემბანზე გური და იამზე ერთმა-
ნეთის პირისპირ აღმოჩნდნენ. და აი მათ შო-
რის გაბმულ საუბარში ადამიანური ცხოვრე-
ბის მნიშვნელოვან ზოგად საკითხებთან ერთად
ლიტერატურული ხასიათის ასეთი პრობლემა-
ტური საკითხიც წამოიჭრება.

„— ქართველები ძველთაგანვე ცნობილი
არიან, როგორც მამაცი მეზღვაურები, განსა-
კუთრებით ეს ითქმის ლაზებზე, თქვენც ხომ
ლაზი ხართ! შავი ზღვა იყო და არის ქართუ-
ლი ზღვაც და მიკვირს, რატომ არ გყვავს ჩვე-
ნი სტანუკოვიჩი, ჩვენი კონრადი — ეუბნება
იამზე გურის.“

ՅՑ ԵՐԱՅԵՆ ԲՍՏ ԳՆԱԿԱՆ

Ե ՕՏՈՒ ՔԵ Ե ՄԱՆՆԱԿՆԵՐ ԻՆԿԱ

ԵՐՈՒ (3) ԳՄԻԿՅԱՆ

"

02.11.93

ԵՐԱՅԵՆ ԲՍՏ

ԳՄԻԿՅԱՆ